სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0731/824/25

31/07/2025

უნივერსიტეტი "გეომედი"

ბატონ პაატა ჭავჭანიძეს

24.07.2025 #0724/662/25 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.18.06.006.311.) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)



წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება ელექტრული ტევადობის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ნორმებს

შეთანხმების თარიღი 31.07.25

შეთანხმებულია

ᲒᲔᲜᲔᲒᲛᲐ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ - ᲨᲔᲡᲐᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲚᲘ

შპს "არსტეელი"		
ხელმძღვანელი	ა. ანდღულაძე	
პროექტი	ა. ანდღულაძე	
შესასრულა	ს. ფალავანდიშვილი	
შემოწმა	ა. ანდღულაძე	

ს/კ 01.18.06.006.311

არსებული ტექნიკური პირობების ანაბეჭდებიანი ნაწილი

ᲒᲔᲜᲔᲒᲛᲐ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ

მ-ბი	ნახაზის	ფ. №	ფორმ.
1:250 A0	არქ. პრინ.	2	
2025 წ.			

შპს "მაგთიკომი"
№ ED-25/04/08-015
08-04-2025 წ

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,უნივერსიტეტი გეომედი''-ს მინდობილ პირს
ბატონ პაატა ჭავჭანიძეს (პ/ნ 01024018748)

ბატონო პაატა,

თქვენი 2025 წლის 27 მარტის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II ქ. #6, #4; კრწანისის ქ. #3; ს.კ. 01.18.06.006.311) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა რომელიც ემსახურება ამავე მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობას, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი''-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ: 595 108910: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.
შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

დოკუმენტის ნომერი: 250408014

Classification: MAGTICOM Confidential



მაგთიკომი MAGTICOM
შეთანხმებულია
შპს „მაგთიკომთან“
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი
წარმომადგენელი. ტელ:
პროექ. ტექ. სამსახური
“ 04 2025 წელი
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N: 7
A. Politkovskaya St. N: 7
110011

ბენგბემა საპროექტო - შესათანხმებე

შპს "არქსტუდიო"		
დირექტორი	ქ. ბიბილაშვილი	
პროექტის	ა. ბიბილაშვილი	
მთავარი	მ. ფილავანდრო	
შესრულა	ა. ბიბილაშვილი	

საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე სოფლები, ს/კ: 01.18.06.006.311

ქრონქტონიპაციული პროექტი არქიტექტურული ნაწილი

ბენგბემა საპროექტო

1:250 A0	სტადია:
	არქ. პროე.

2025 წ.



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი ზაქაშვილი

თარიღი: 03/28/2025

====== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01251531079**
თარიღი: **02/06/2025**

ადრესატი: პაატა ჭავჭანიძე
პირადი ნომერი: 01024018748
მისამართი: ქალაქ თბილისი,საირმის ქუჩა 86,ბინა 10

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი წერილი, (19/01251503693-62 თარიღი:30.05.2025წ) რომელიც ეხება ქ.თბილისში, რიცხულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:01.18.06.006.311) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მოწყობასთან დაკავშირებით, გარე განათების სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას, ჩვენს მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი.
გაცნობებთ, რომ გეგმაზე მონიშნულ მონაკვეთზე შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი"-ს გარე განათების სამსახური წინააღმდეგი არ არის თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გადატანილი იქნას გარე განათების (ერთი ერთეული საყრდენი) ინფრასტრუქტურა.
სადემონტაჟო/გადატანითი სამუშაოები უნდა შესრულდეს "ელ.დანადგართა მოწყობის წესების და "უსაფხოების ნორმების" სრული დაცვით.
ზემოაღნიშნული სამუშაოების დაწყების წინ უნდა დაუკავშირდით შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფის" წარმომადგენელს
(საკ. ტელ.595 30 76 75).

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

Съемщик	А. Иванов		

Разработал	А. Иванов				
Проверил	А. Иванов				
Н. контр.	А. Иванов				
ГИП	А. Иванов				

Инв. № подл.	Подп. и дата	Взам. инв. №	Инв. № дубл.	Подп. и дата	

Изм.	Кол. уч.	Лист	№ док.

Подп.		Дата	

Стадия	Лист	Листов	
Р	1	1	

Генеральный план	
Ситуационный план	
М 1:500	

Копировал	Формат А1

Условные обозначения	
Граница земельного участка	
Проектируемое здание	
Существующее здание	
Проектируемое сооружение	
Существующее сооружение	
Проектируемое дерево	
Существующее дерево	
Проектируемый газон	
Проектируемый тротуар	
Проектируемое покрытие	
Проектируемый бортовой камень	
Проектируемый пешеходный переход	
Проектируемый пандус	
Проектируемый колодец	
Проектируемый водопровод	
Проектируемая канализация	
Проектируемый газопровод	
Проектируемая ливневая канализация	
Проектируемая теплотрасса	
Проектируемая электрокабельная линия	
Проектируемая кабельная линия связи	
Проектируемый трансформатор	
Проектируемый ТП	
Проектируемый ГРП	
Проектируемый ИТП	
Проектируемый ВРУ	
Проектируемый ВНС	
Проектируемый ВНС	
Проектируемый ВНС

მისამართი

ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №6 (01.18.06.006.311)

ტოპო გეგმა



პირობითი აღნიშვნები

მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	მინდორი	ცოცხალი ღობე
კანალიზაცია	შენობა	ბუჩქი	ხეების რიგი
ელ. გადამცემი ხაზი	არკა	გაზონი	ტრანსფორმატორი
გაზის მილი	ფარდული	სამეთვალყურეო ჭები	რადიო ან ტელე ანძა
წყლის მილი	კიბე	სავენტილაციო	ლამპიონები
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	შადრევანი	დენის ბოძი
	წიწვოვანი ხე	ონკანი	რკინიგზა
	ვაზი	წყარო ან ჭა	იზოჰიფსი
	პალმა	ბენზინგასამართი სადგური	რკინის ღობე
		მაღალი ძაბვის გადამცემი	

სეტკის ღობე	ბორდიური
ბეტონი	კედელი
საყრდენი კედელი	ჭიშკარი
გზის კონტური	ფლატე
UTM (საერთაშორისო)	

შპს "X-LINE"

აზომველი		ნ.მეძმარიშვილი
ციფრული დამუშავება		ნ.მეძმარიშვილი
მ.1:1000		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0125139646**
თარიღი: **19/05/2025**

ადრესატი: პაატა ჭავჭანიძე
პირადი ნომერი: 01024018748
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძეს ქუჩა, N 72ბ, ბინა 113

ბატონო პაატა,

შპს „თბილსერვის ჯგუფში“ 14.05.2025 წ. შემოსული (#19/01251342881-62) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ქ.თბილისი, მეფე სოლომონ II ქუჩა N6/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს.კ. 01.18.06.006.311) და განსილული იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი გენგეგმა. გაირკვა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სანიაღვრე ქსელი არ გადის.

სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ სამუშაოები წარმოდგენილი გენგეგმის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტთან შესათანხმებლად გენგეგმა უნდა წარმოადგინოთ ხელზე.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-
დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მერია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტი
შეთანხმებულია
22 მაისი 2025

შპს "არდსტუდიო"			სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის საუნივერსიტეტო კლინიკა ქ. თბილისი მეფე სოლომონ II-ის ქ. №4 ს/კ 01.18.06.006.311	დამკვეთი: სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ს/კ 405352103			
დირექტორი	ქ. ჯაჯანიძე						
არქ.მთ.არქ.	კ. ჯაჯანიძე		კორექტირებული პროექტი არქიტექტურული ნაწილი	მ-ბი	სტადია	ფ. №	რაოდ.
თანაავტორი	თ. დათიკაშვილი			1:500 A3	არქ. პრო.	1	
			გენგეგმა				
შეასრულა	კ. ჯაჯანიძე			2025 წ.			

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0125141242**
თარიღი: **21/05/2025**

ადრესატი: პაატა ჭავჭანიძე
პირადი ნომერი: 01024018748
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძეს ქუჩა, N 72ბ, ბინა 113

გიგზავნით კორექტირებული პროექტის შეთანხმებულ გენ გეგმას.შეთანხმებული პროექტი იხილეთ დანართის სახით

დანართი: 1 ფურცელი

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ГИП			"Ландшафтстрой" ООО
Разработал	Д. Азизбеков		
Проверил	А. Азизбеков		
Нач.отдела	Р. Ахундзаде		
Н.контроль	А. Азизбеков		

Благоустройство территории общественно-делового назначения. Общественно-деловая застройка. Спортивно-развлекательный комплекс. Ул. Нариманова, 1 в Ленинском районе г. Баку

Ситуационный план

Стадия	Лист	Листов
Р	1	

Азербайджанская Республика

Масштаб	А3	1:500	
Дата	2025 г.		

GWP ამზადებს
ხაზის კორექტირების
პროექტს შესათანხმებლად

0.0 m²

ტროტუარის ბაღის შეზღუდის ქვეშ
(ღია პრტყელი საფეხური)

მოქცევა ბაზისური პირველი საფეხურით

ახალი შეზღუდა ღობისა ბაბუფოსების კონტურის

სერვიტუტი

საპროექტო ტერიტორია
ს/კ 01.18.06.006.311

ტროტუარის ბაღის
შეზღუდის
კონსოლის ქვეშ

GWP კონტაქტური ბადის ქსელი

GWP კონტაქტური ბადის ქსელი

საპროექტო
შეზღუდა-ბორდიუსი

საპროექტო
შეზღუდის ბორდიუსი
საფეხურის სიმაღ. 1 და 2 საფეხურის
ის. ბოძები 14-14

შიდა არხისული ტრუბის
შიდის გაფართოება

რეზერვირების ნაწილ შესანა ტრუ
(არხისული შიდის კოდის
შეთანხმებული AR1949855)

საპროექტო ტერიტორია
ს/კ 01.18.06.006.311

ზონა-
გაფართებული ტერიტორია

მოქმედი შეზღუდი

შპს "არდსტუდიო"

დირექტორი	ქ. ბაქრაძე	
არქიტექტორი	ა. ბაქრაძე	
თანაავტორი	ო. დადიანი	
თანაავტორი	გ. გვანცელაძე	
თანაავტორი	ი. კახიძე	
კონსტრუქტორი	ვ. ბლიაძე	

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა
ქ. თბილისი ვერის სერფენტინის II-ის ქ. N4
ს/კ 01.18.06.006.311

კორექტირებული პროექტი
არქიტექტურული ნაწილი

სახშრავის გეგმა
გენგეგმა

დაკვეთა:
საპროექტო უნივერსიტეტი გეოდეზის
ს/კ 405352103

მ-ბი	სტადია	ფ. №	რაოდ.
1:250 A0	არქ. პრო.	10	

2025 წ.

თავფურცელი

ქსელების გადატანის პროექტი

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის საუნივერსიტეტო კლინიკა

თბილისი მეფე სოლომონ II-ის ქ. №4

ს/კ (01.18.06.006.311)

შპს "არდსტუდიო"			სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის საუნივერსიტეტო კლინიკა ქ. თბილისი მეფე სოლომონ II-ის ქ. №4 ს/კ 01.18.06.006.311	დამკვეთი: სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ს/კ 405352103 დირექტორი- მარინა ფირცხალავა			
დირექტორი	პაატა ჯავჯანიძე		თავფურცელი	მ-ბი	სტადია	ფ. №	რაოდ.
პრ.მთ.არქ.	პაატა ჯავჯანიძე			1:250		00	04
თანაავტორი							
			GWP წყალმომარაგების მილის გადატანა				
შეასრულა	თამარ ჯინჯარაძე			2025 წ.			

ნახაზების უწყისი

# რიგზე	ნ ა ხ ა ზ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ფურც. #
1.	განმარტებითი ბარათი	1
2.	ფოტომასალა.	2
3.	ტერიტორიის გენგეგმა	3
4.	მიწის თხრილის განივი კვეთი.	4

მ ო კ ლ ე ბ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტი ითვალისწინებს D 40 მმ და D 25 მმ დიამეტრის წყალმომარაგების ქსელის გადატანას. არსებული ქსელი მდებარეობს იმ არეალში, სადაც დაგეგმილია სასწავლო კორპუსის მშენებლობა. აღნიშნული მდებარეობა ხელს უშლის მშენებლობის ნორმების დაცვით განხორციელებას, (წყალსადენის მილები დაშორებული უნდა იყოს შენობიდან 5 მეტრის მანძილზე) ამიტომ არსებული მილის გადატანა აუცილებელია. რადგან ტერიტორიაზე იგეგმება სასწავლო კორპუსის განთავსება. ქსელის გზაზე გადატანა უზრუნველოფს როგორც მშენებლობის ნორმალურ მიმდინარეობას, ისე ქსელის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

ტექნიკური მონაცემები

- არსებული მილის დანიშნულება : წყამომარაგების მილი
- მილის დიამეტრი : D 40 მმ. პოლიეთილენის მილი. D 25 ფოლადის მილი
- სამუშაოები მოიცავს : არსებული მილის დემონტაჟს, ახალი ტრასის გაჭვანას გზის ტერიტორიაზე, ქსელის მიერთებას მოქმედ სისტემასთან, აღდგენითი სამუშაოები. საპროექტო ქსელის ტექნიკური მახასიათებლები ჩაღრმავება - =1.20 მ. მილი 40 მმ. პოლიეთილენის მილი - სიგრძე =119მ 25 მმ სიგრძე =14მ პროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ სამშენებლო ნორმებს, ჭ -ს ტექნიკურ რეგლამენტს, რაც აისახება ქსელსა და შენობას შორის ხუთ მეტრიანი დაშორებით და წყალარინების და წყალსადენის ქსელებს შორის 0.70 სმ-იანი დაშორებით. ქსელის გადატანა გზაზე შექმნის პირობებს როგორც სამშენებლო საქმიანობის დაწყებისთის, ასევე ქსელის გამარული შსაფრთხო ფუნქციონირებისთვის.

საპროექტო ქსელის ტექნიკური მახასიათებლები

- ჩაღრმავება - H=1.20 მ.
- მილი D 40 მმ. პოლიეთილენის მილი და D 25 ფოლადის მილი - სიგრძე L=119/14m

პროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ სამშენებლო ნორმებს, GWP-ს ტექნიკურ რეგლამენტს, რაც აისახება ქსელსა და შენობას შორის ხუთ მეტრიანი დაშორებით და წყალარინების და წყალსადენის ქსელებს შორის 0.70 სმ-იანი დაშორებით.

ქსელის გადატანა გზაზე შექმნის პირობებს როგორც სამშენებლო საქმიანობის დაწყებისთის, ასევე ქსელის გამარული შსაფრთხო ფუნქციონირებისთვის.

შენისვნა:

- სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას მიწისქვეშ არსებული ქველა კომუნიკაციის ორგანიზაციის წარმომადგენლები გადაკვეთის ადგილების დასაზუსტებლად და შესათანხმებლად.
- ქსელის 90 გრადუსიანი მოხვევისას, რეკომენდირებულია ორი 45 გრადუსიანი მუხლის მოხვევა

შპს "არტსტუდიო"		საზღვარი უნივერსიტეტი გეოგრაფის საკონსტრუქტორო ჯგუფი ქ. თბილისი ჭავჭავაძის N-ის ქ. N4 ს/კ 01.18.06.006.311	ფაილების: საზღვარი უნივერსიტეტის გეოგრაფი ს/კ 405352103 შენობების: ბარიერა შიდატაბალა
პროექტირება	ააატა ბაქრანიძე		
გრაფიკა	ააატა ბაქრანიძე	განმარტებითი ბარათი	
შემოწმება			
ხელმძღვანელი	თამარ ჭინჭარაული	GWP წყალმომარაგების მილის გადატანა	

მ-ტი	სტადია	ფ. №	რაოდ.
1:250		01	04

2025 წ.

























შპს "არქიტექტორი"

პაატა გავლანიძე

პაატა გავლანიძე

მიხაკო ჭიტანავა

ხაშურის უნივერსიტეტის გეოგრაფიის საკონსტრუქტორო ბიუროსა ქ. თამარ მეფის ჭიქა სოლოფორმა II-ის ქ. N4 ს/კ 01.18.06.006.311

ზოგადი მასალა

GWP ფასადის ინსპექციის მიზნის გაწერანა

ხაშურის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ს/კ 405552103

ფოტოსურათის მაგინა შეფოტოგრაფა

მ-ის	სტადია	ფ. №	ფაილ.
1:250		02	04

2025 წ.



პირობითი აღნიშვნები:

- ობიექტის წითელი ხაზი
- აღს. ასფალტის საფარი
- ასფალტის კონტური
- აღდგენილი ასფალტი (ლატკა)
- გადასატანი ქსელი
- არსებული ქსელი
- საპროექტო ქსელი
- წყალარინების არსებული ქსელი
- წყალარინები და კომინიკაციის ჭა
- წყალარინები ჭა

შპს "არდსტუდიო"

დირექტორი	პაატა ზაზზანიძე	
პრ.მთ.არქ.	პაატა ზაზზანიძე	
თანაავტორი		
შეასრულა	თამარ ზინზარეძე	

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის საუნივერსიტეტო კლინიკა
ქ. თბილისი მეფე სოლომონ II-ის ქ. №4
ს/კ 01.18.06.006.311

გენგეგმა

GWP წყალმომარაგების მილის გადატანა

დამკვეთი:
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
ს/კ 405352103
დირექტორი- მარინა ფირცხალავა

მ-ბი	სტადია	ფ. №	რაოდ.
1:250		03	04

2025 წ.

წყალსადენის მილის თხრილის განივი კვეთი



№	d	$H_{საშ}$	B	$h_{საშ}$ (მ)	L
1	40	1200	700	410	119.00
2	25	1000	700	225	14.00

შპს "არდსტუდიო"		სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის საუნივერსიტეტო კლინიკა ქ. თბილისი მეფე სოლომონ II-ის ქ. №4 ს/კ 01.18.06.006.311	დამკვეთი: სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ს/კ 405352103 დირექტორი- მარინა ფირცხალავა	
დირექტორი	პაატა ჭავჭანიძე	განივი კვეთი	მ-ბი 1:250	სტადია
პრ.მთ.არქ.	პაატა ჭავჭანიძე		ფ. № 04	რაოდ. 04
თანაავტორი				
შეასრულა	თამარ ჭინჭარეაძე	GWP წყალმომარაგების მილის გადატანა	2025 წ.	

ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესახებ

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) გაფორმებულია ქ. თბილისში, 2025 წლის 5 სექტემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს "უნივერსიტეტი გეომედი"-ს** (ს/კ 204909858) (შემდგომში „**დამკვეთი**“)დირექტორის მარინა ფირცხალავას მიერ ,

და

მეორე მხრივ, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, საიდენტიფიკაციო კოდი 203826002 (შემდგომში „**ზედამხედველი**“), წარმოდგენილი მისი ახალი მიერთების სამსახურის უფროსის გიორგი კიზივაძის მიერ;

შემდგომში „დამკვეთი“ და „ზედამხედველი“ ერთობლივად მოხსენებული, როგორც „**მხარეები**“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“.

1. **„ხელშეკრულების“ საგანი**

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „ზედამხედველი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ 1.2. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურება“. „დამკვეთი“ თანახმაა, მიღებული „მომსახურების“ სანაცვლოდ, გადაუხადოს „ზედამხედველს“ შეთანხმებული ანაზღაურება.

1.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გასაწევი მომსახურება გულისხმობს „შემსრულებლის“ მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა , N4-N6-ში „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებული ობიექტიდან ს/კ 01.18.06.006.311; წყალმომარაგების დ=40მმ-იანი და დ=25მმ-იანი ქსელების (შემდგომში „**ქსელი**“) გადატანა/გადალაგების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევას (შემდგომში „**მომსახურება**“) საქართველოში მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შემდგომში „ქსელის“ ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

2. **მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება შეადგენს **415.40** (ოთხასთხუთმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში „**მომსახურების ღირებულება**”).

2.2. „დამკვეთი“ „ზედამხედველს“ „მომსახურების ღირებულებას“ გადაუხდის წინასწარ, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე „მომსახურების საფასურის“ გადარიცხვის გზით:

მიმღები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. #GE80BG0000000277331100

3. **მხარეთა ვალდებულებები**

3.1 **„დამკვეთს“ უფლება აქვს:**

3.1.1 მოსთხოვოს „ზედამხედველს“ „მომსახურების“ გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.1.2 მოსთხოვოს „ზედამხედველს“ 3.2.9 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს შესრულებული სამუშაო ან მიაწოდოს „დამკვეთს“ დასაბუთებული უარი შესრულებული სამუშაოს მიღებაზე და თუ ეს შესაძლებელია, მისცეს მას რეკომენდაცია და დამატებითი ვადა ხარვეზების გამოსწორებისათვის.

3.2 **„დამკვეთი“ ვალდებულია:**

3.2.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 1 (ერთი) სამუშაო დღისა, „ზედამხედველს“ გადასცეს სამშენებლო

პროექტი, მშენებლობის განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პროექტთან დაკავშირებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროექტს და/ან რომელსაც მოითხოვს „ზედამხედველი“, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სათანადო დონეზე განხორციელების მიზნით;

3.2.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 1 (ერთი) სამუშაო დღისა, „ზედამხედველს“ აცნობოს მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც სრულად იქნება პასუხისმგებელი პროცესის წარმართვაზე;

3.2.3 დაუყოვნებლივ აცნობოს „ზედამხედველს“ ნებისმიერი და ყველა ცვლილების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია „ქსელის“ სამშენებლო პროექტთან, შესრულების გრაფიკთან, კონტრაქტორის და/ან პასუხისმგებელი პირის ცვლილებასთან ან ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის ცვლილებასთან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ქსელის“ მშენებლობის პროცესზე და/ან „ზედამხედველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

3.2.4 სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს შრომის და ტექნიკის უსაფრთხოების ნორმების დაცვა, უზრუნველყოს „ზედამხედველის“ წარმომადგენლის უსაფრთხოება და გადასცეს მას სპეციალური აღჭურვილობა, თუ არსებობს ამის აუცილებლობა;

3.2.5 „ზედამხედველის“ თანხმობისა და მის მიერ ადგილზე შემოწმების გარეშე, არ განახორციელოს ხილვადი სამუშაოების გადაფარვა;

3.2.6 „ზედამხედველთან“ შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაციისა და ზოგადად პროექტის ყველა არსებითი ცვლილება;

3.2.7 მიაწოდოს „ზედამხედველს“ ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებული რისკების შესახებ;

3.2.8 გაითვალისწინოს „ზედამხედველის“ მითითებები და რეკომენდაციები;

3.2.9 „დამკვეთმა“ „ზედამხედველს“ აუცილებელია წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საბოლოო გადახდის სერთიფიკატი ე.წ. საბოლოო ფორმა N2-ს და საბოლოო ფორმა N3, რომელიც ასახავს „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ მუდმივ სამუშაოებს.
- ფარული სამუშაოების აქტი - დოკუმენტს, რომელსაც ქმნის „დამკვეთი“ და ასახავს შესრულებული მუდმივი სამუშაოების იმ ნაწილის დასახელებას და მოცულობას, რომელიც იფარება და აღარ არის ხილული. დოკუმენტს ხელმოწერით ამოწმებს ზედამხედველი ინჟინერი.
- გამოყენებული მასალების სერთიფიკატები - ყველა გამოყენებული მასალის მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს გამოყენებული მასალის სპეციფიკაციის შესაბამისობას ხელშეკრულებასთან.
- მასალების ლაბორატორიული გამოცდის აქტი - აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ გაცემულ დასკვნას, რომელიც ადასტურებს გამოყენებული ინერტული მასალის, ბეტონის, ასფალტის, და/ან სხვა საფარის, და/ან შესრულებული სამუშაოს შესაბამისობას ხელშეკრულებასთან.
- ჰიდრავლიკური გამოცდის აქტი - შეთანხმებული ფორმით წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც ასახავს ზედამხედველ ინჟინერთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით ქსელის ჰიდრავლიკური გამოცდის შედეგებს, რასაც ხელმოწერით ამოწმებს ზედამხედველი ინჟინერი.
- ქსელის გარეცხვის ლაბორატორიული შემოწმების აქტი - დოკუმენტს, სადაც მოცემულია ლაბორატორიის მიერ აღებული წყლის ნიმუშის შედეგები;
- საშემსრულებლო ნახაზი - ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ელექტრონული ვექტორული(.mdb) და ნაბეჭდი ვერსია.
- მიღება-ჩაბარების სერთიფიკატი - „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილ და მხარეების მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, რომელიც ასახავს შეთანხმებას მხარეებს შორის სამუშაოების დასრულებასა და მიღებასთან დაკავშირებით.
- ექსპლუატაციაში მიღების აქტი ნიშნავს კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ და მხარეების მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, რომელიც ასახავს ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებისა და გამოყენებული მასალების /ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში „ზედამხედველი“ იტოვებს უფლებას არ მოახდინოს მოწყობილი ქსელის ჩაბარება და ქსელზე მიერთება.

3.2.10 მოახდინოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

3.2.11 კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.2.12 სრულად გაითვალისწინოს და შეასრულოს ხელშეკრულების დანართში „დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებში ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა“ - ში გაწერილი პირობები.

3.3 „ზედამხედველს“ უფლება აქვს:

3.3.1 მოსთხოვოს „დამკვეთს“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესრულება;

3.3.2 მოითხოვოს „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების შეჩერება, თუ მიიჩნევს, რომ სამუშაოები სრულდება სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევით, ირღვევა შრომის უსაფრთხოების წესები და/ან სამუშაოების გაგრძელება საფრთხეს უქმნის მესამე პირის ქონებას და/ან ჯანმრთელობას და მოსთხოვოს „დამკვეთს“ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოიფხვრას ასეთი გარემოებები;

3.3.3 გასცეს წერილობითი ან/და ზეპირი ინსტრუქციები საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო ცვლილებების განხორციელების შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ არსებული პროექტი არ არის სრულყოფილი ან მისი განხორციელების შემთხვევაში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, რომელი ინსტრუქციებიც სავალდებულოა შესასრულებლად „დამკვეთისთვის“. ყოველთვის, როდესაც არსებობს ამის პრაქტიკული შესაძლებლობა, „ზედამხედველის“ მიერ ინსტრუქციები უნდა გაიცეს წერილობით. თუ „ზედამხედველი“ გასცემს ზეპირ ინსტრუქციას, ინსტრუქციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში „შემსრულებელს“ უფლება აქვს მოითხოვოს ინსტრუქციის წერილობით დადასტურება, ხოლო თუ ასეთი მოთხოვნიდან ორი სამუშაო დღის ვადაში არ მიიღებს წერილობით უარყოფას, მაშინ მიიჩნევა, რომ „ზედამხედველმა“ დაადასტურა ინსტრუქცია წერილობით. წინამდებარე პუნქტში მითითებული ვადები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი „ზედამხედველის“ მიერ გაცემული ინსტრუქცია არის დაუყოვნებლივ შესასრულებელი. ასეთ შემთხვევაში „შემსრულებელი“ ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ უარყოს მითითება მოტივირებული შენიშვნებით, ან შეასრულოს მითითება. მოგვიანებით აღნიშნულზე გაცემული წერილობითი ინსტრუქცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ატარებს მხოლოდ მითითების დაფიქსირების შინაარსს.

3.3.4 „ზედამხედველი“ უფლებამოსილია, განახორციელოს „სამუშაოების“ მონიტორინგი იმ სიხშირით, რასაც ის საჭიროდ მიიჩნევს „სამუშაოების“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.3.5 „ზედამხედველის“ მიერ აღმოჩენილი წუნდების ან არაჯეროვანი შესრულების დაფიქსირების შემთხვევაში, „ზედამხედველი“ უფლებამოსილია, მოსთხოვოს „დამკვეთს“ ხარვეზის დაუყოვნებლივ გამოსწორება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, განუსაზღვროს მას გონივრული ვადა მის აღმოსაფხვრელად. თუ „დამკვეთი“ არ აღმოფხვრის ხარვეზს, „ზედამხედველი“ უფლებამოსილია მოამზადოს შესაბამისი ანგარიში, რომელიც გათვალისწინებული იქნება „ქსელის“ ექსპლუატაციაში მიღების დროს და შესაძლოა გახდეს „ქსელის“ ექსპლუატაციაში არ მიღების საფუძველი.

3.3.6 „ზედამხედველი“ არ არის უფლებამოსილი, დაადასტუროს ისეთი შესრულება, რომელიც გამოწვეულია სამუშაოების ისეთი ცვლილებით, რომელიც არ არის მასთან შეთანხმებული. უარი განაცხადოს „მომსახურების“ გაწევის გაგრძელებაზე, თუ „დამკვეთი“ დაარღვევს მის მიერ მე-2 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას.

3.4 „ზედამხედველი“ ვალდებულია:

3.4.1 განახორციელოს „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა წინამდებარე „ხელშეკრულებით“ დადგენილი პირობების შესაბამისად; „ზედამხედველი“ ვალდებულია, განახორციელოს სამუშაოების პერიოდული შემოწმება სამუშაოების სამშენებლო დოკუმენტაციასთან და „ხელშეკრულებასთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

3.4.2 „ზედამხედველი ინჟინერი“ ვალდებულია, აკონტროლოს „სამუშაოების“ პროგრესი „შემსრულებლის“ მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

3.4.3 „ზედამხედველი ინჟინერი“ ვალდებულია, ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია „სამუშაოების“ ცვლილებასთან, მოცულობასთან ან ტექნიკურ გადაწყვეტილებასთან დაადასტუროს, ან მოტივირებული შენიშვნებით უარყოს.

3.4.4 „ზედამხედველი ინჟინერი“ უფლებამოსილია, მოსთხოვოს „შემსრულებელს“, უზრუნველყოს სამშენებლო მოედანზე ან „სამუშაოებზე“ დაქირავებული ნებისმიერი პირის გათავისუფლება, მათ შორის, შემსრულებლის წარმომადგენლის“, იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) „სამუშაოების“ ფიზიკური პროგრესი ჩამორჩება წარმოდგენილ გეგმა – გრაფიკს ზედიზედ ორი კვირის განმავლობაში;

(ბ) არაკომპეტენტურად ან დაუდევრად ასრულებს თავის ფუნქციებს, რაც რისკის ქვეშ აყენებს „სამუშაოების“ დროულ და ხარისხიან შესრულებას;

(გ) მონაწილეობს იმ ქმედებაში, ან სათანადოდ არ რეაგირებს იმ ქმედების აღსაკვეთად, რომელიც საფრთხეს უქმნის „დამკვეთის“ ან/და „შემსრულებლის“ ან/და მესამე პირის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას ან გარემოს დაცვას.

3.4.5 შეამოწმოს სამუშაოთა შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან, აკონტროლოს შესრულებული სამუშაოს, გამოყენებული მასალისა და ტექნიკის ხარისხი პროექტისა და სამშენებლო წესების შესაბამისად;

3.4.6 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 1 (ერთი) სამუშაო დღისა, გამოყოს „მომსახურებაზე“ პასუხისმგებელი პირი და „დამკვეთს“ მიაწოდოს მისი საკონტაქტო ინფორმაცია;

3.4.7 განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირება იმ სიხშირით, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით;

3.4.8 „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს და შეატყობინოს „დამკვეთს“ სასმელი წყლის გათიშვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი;

3.4.9 „მომსახურების“ დასრულების შემდეგ „დამკვეთს“ წარუდგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს „მომსახურების“ სრული და საბოლოო ანგარიშსწორება.

4. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და შეწყვეტა

4.1 „ხელშეკრულება“ ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

4.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:

(ა) ერთ-ერთი „მხარის“ მიერ, თუ მეორე „მხარე“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მის რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(ბ) მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

4.3 „დამკვეთი“ ვალდებულია, მის მიერ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით ვადამდე შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში, „ზედამხედველს“ სრულად აუნაზღაუროს გაწეული „მომსახურება“ და „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანი, ამგვარის არსებობის შემთხვევაში.

4.4 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ზედამხედველის“ მიერ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში, „ზედამხედველის“ მიერ „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) არ ანაზღაურდება და „დამკვეთი“ წინასწარ, გამოუთხოვადად და უპირობოდ უარს აცხადებს „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის), ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების მოთხოვნაზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს–მაჟორული ვითარებით (შემდგომში „ფორსმაჟორული ვითარება“).

5.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს–მაჟორული ვითარება“, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს სცილდება და რომლის დადგომაც წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.

5.3 „მხარე“, რომელსაც „ფორსმაჟორული ვითარება“ შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი „ფორს–მაჟორული ვითარების“ თაობაზე, „ფორს–მაჟორული ვითარების“ ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.

5.4 „ფორს–მაჟორული ვითარების“ დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი „ფორსმაჟორული ვითარების“ დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ „ფორს–მაჟორული ვითარება“ გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

6. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრის წესი

6.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ან მის საფუძველზე წარმოშობილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ „მხარეები“ მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად „მხარეები“ მიმართავენ საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „ზედამხედველის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

7. სხვადასხვა დებულებები

7.1 „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუკი ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე „მხარის“ მიერ.

7.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის „მხარეთა“ უფლებამოსილი (საკონტაქტო) პირები არიან:

დამკვეთისთვის:
ალექსანდრე გიგილაშვილი
agigilashvili@gwp.ge
599 57 76 18

„ზედამხედველისთვის:
პაატა ჭიჭინაძე
paata.chavchanidze@gmail.com
557719755

7.3 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის მის საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

7.4 წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

7.5 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

7.6 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემა „მხარეებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

დანართი: „დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებში ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა“

„დამკვეთი“
შპს "უნივერსიტეტი გეომედი"

მარინა ფირცხალავა
დირექტორი

„ზედამხედველი“
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“

გიორგი კიზირიძე
ახალი მიერთებების სამსახურის უფროსი

GGU Georgia Global Utilities	სტანდარტული საოპერაციო პროცედურა	გვერდი 1-4

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			აგვისტო 2025 (ვერსია 1)
პროცესი	დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებში ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა			

სათაური	ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა - დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები	კოდი	GWP-E&C-03

მიზანი

ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცესის მართვის დოკუმენტის მიზანია ინსპექციებისა და ტესტირების ეტაპების წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესებით ორგანიზება, სამუშაოების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფა, ყველა ჩართული მხარის მოქმედებების კოორდინაცია და შედეგების სრულყოფილი დაფიქსირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის შესაბამისობა შიდა და საერთაშორისო სტანდარტებთან.

ცვლილებები

ჩანაწერები	ფაილის მდებარეობა

ფაზა	პოზიცია	სახელი	ხელმოწერა
მომზადება	ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი	მიხა გაზდელიანი	
რევიზია/გადახედვა	მშენებლობის და ინჟინერიის დირექტორის მოადგილე, პროექტირების და ზედამხედველობის მიმართულებით	ბექა ნარიმანიძე	
რევიზია/გადახედვა	ახალი მიერთების სამსახურის უფროსი	გიორგი კიზივაძე	
რევიზია/გადახედვა	მშენებლობის და ინჟინერიის დირექტორი	Nañez Sanz Ivan	
დამტკიცება	GWP-ს გენერალური დირექტორი	José Miguel Santos Gonzalez	

პროცესი

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			აგვისტო 2025 (ვერსია 1)
პროცესი	დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებში ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა			

სათაური	ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა - დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები	კოდი	GWP-E&C-03

პროცესი

1. ზოგადი ინფორმაცია

ამ პროცედურის მიზანია, ჩამოყალიბდეს დეველოპერების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებისთვის ინსპექციისა და ტესტირების პროცესის (ITP) სტრუქტურა, ეტაპები, მონაწილე მხარეები, მათი როლები და პასუხისმგებლობები. პროცესი ეფუძნება ხარისხის მართვის პრინციპებს და მიზნად ისახავს სამუშაოების შესრულების შესაბამისობის უზრუნველყოფას დამტკიცებულ პროექტებთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან და მოქმედ სამშენებლო სტანდარტებთან.

ინსპექციისა და ტესტირების გეგმა (ITP) წარმოადგენს სისტემურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სამშენებლო სამუშაოების ეტაპებზე შემოწმებისა და ტესტირების აუცილებლობას, ფორმატს და თანმიმდევრობას. ის საშუალებას იძლევა, კრიტიკული სამუშაოები განხორციელდეს გამჭვირვალედ, მონიტორინგის პირობებში და შესაბამისი დოკუმენტალური დადასტურებით.

2. პროცესში შემავალი დოკუმენტები

პროცესში გამოიყენება შემდეგი ძირითადი დოკუმენტები:

- **ITP (ინსპექციისა და ტესტირების გეგმა / Inspection and Test Plan)** – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოების კრიტიკულ ეტაპებს, შემოწმების და ტესტირების მოთხოვნებს, პასუხისმგებელ პირებს და დადასტურების მეთოდებს.
- **IRF (ინსპექტირების მოთხოვნის ფორმა / Inspection Request Form)** – წარმოადგენს ITP-ის თანმხლებ ფორმას, რომლის მიზანია სამუშაოს კონკრეტულ ეტაპზე ინსპექტირების მოთხოვნა და შედეგების ოფიციალური დოკუმენტირება. ერთ IRF-ში შესაძლებელია რამდენიმე სამუშაოს პუნქტის გაერთიანება, რომელიც მოწმდება ერთ ვიზიტში.
- **MAR (მასალების დამტკიცების ფორმა / Material Approval Form) –** მასალების დამტკიცების ფორმა, რომელიც გამოიყენება ITP-ის ეტაპზე მასალების წინასწარი შეთანხმებისთვის.
- საზომი და ლაბორატორიული ტესტირების ანგარიშები – თუ სამუშაო მოითხოვს ლაბორატორიულ ტესტირებას (მაგ., ბეტონის სიმტკიცე).
- დამტკიცებული ნახაზები, **GWP-ის** შიდა სტანდარტები და სპეციფიკაციები – სამუშაოების შესაბამისობის დადასტურებისთვის.
- დამტკიცებული მომწოდებლების სია - სამშენებლო მასალების დადასტურებისთვის.

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			აგვისტო 2025 (ვერსია 1)
პროცესი	დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებში ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა			

სათაური	ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა - დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები	კოდი	GWP-E&C-03

პროცესი

3. პროცესში ჩართული მხარეები

- GWP-ს ზედამხედველობის დეპარტამენტი,
- დეველოპერი.

4. მხარეთა პასუხისმგებლობები

- **GWP-**ს ტექნიკური ზედამხედველი – ITP-ით განსაზღვრული სამუშაოების ხარისხის შემოწმება, მათი საპროექტო დოკუმენტაციასთან, GWP-ის შიდა სტანდარტებთან და სამშენებლო წესებთან და ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი, შედეგების დაფიქსირება IRF-ში და MAR-ში.
- დეველოპერი – სამუშაოების შესრულება პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და GWP-ის შიდა სტანდარტების შესაბამისად, ITP-ით განსაზღვრული ეტაპების დამოწმების მოთხოვნის წარდგენა და საჭირო ტესტების ჩატარება. სამუშაოების გადადება ან დაგვიანება, რომელიც გამოწვეულია IRF-ის დაგვიანებული გაგზავნით, დეველოპერის პასუხისმგებლობაა.

5. პროცესის აღწერა

დეველოპერი ახორციელებს სამუშაოებს ხელშეკრულებითა და ITP-ით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაცვით. ITP დოკუმენტს GWP გადასცემს დეველოპერს სამუშაოების დაწყებამდე.

ITP დოკუმენტით განსაზღვრულია სამუშაოების ინსპექტირების ტიპი:

- **H – Hold Point** - გაჩერების წერტილი, სამუშაო შეჩერდება დადასტურებამდე;
- **W – Witness Point** - შემოწმების ეტაპი, სამუშაო შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ინსპექტირება სავალდებულოა.

დეველოპერი ვალდებულია ITP-ით განსაზღვრული H და W წერტილების დამოწმება მოითხოვოს IRF-ის საშუალებით მინიმუმ 48 საათით ადრე, წერილობითი ფორმით (ელ-ფოსტით - დამკვეთის წარმომადგენლის მისამართზე).

IRF-ში შესაძლებელია რამდენიმე სამუშაოს პუნქტის გაერთიანება, რომლებიც მოწმდება ერთ ვიზიტში.

- დადებითი შედეგის შემთხვევაში IRF დოკუმენტში აღინიშნება ***PASS*** და დეველოპერს ეძლევა უფლება გააგრძელოს სამუშაოები.
- უარყოფითი შედეგის შემთხვევაში IRF-ში აღინიშნება ***NO PASS*** შესაბამისი

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შჰს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			აგვისტო 2025 (ვერსია 1)
პროცესი	დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებში ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა			

სათაური	ინსპექციისა და ტესტირების გეგმის (ITP) პროცედურა და მართვა - დეველოპერების მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები	კოდი	GWP-E&C-03

პროცესი

კომენტარებით. დეველოპერი ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს ხარვეზები.

თუ ხარვეზების გამოსწორება არ განხორციელდა, სამუშაოების შემდეგ ეტაპზე გადასვლა არ დაიშვება, ხოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

6. კოორდინაცია და ვიზიტების მართვა

- ვიზიტების კოორდინატორი: პროცესს კოორდინაციას უწევს GWP-ს ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- შეთანხმება ვიზიტებზე: დეველოპერი მეილის საშუალებით აცნობებს GWP-ს წარმომადგენელს მინიმუმ 48 საათით ადრე ინსპექციის საჭიროების შესახებ.
- დასწრება: ვიზიტზე უნდა იმყოფებოდეს GWP-ს ტექნიკური ზედამხედველი და დეველოპერის წარმომადგენელი.
- ვიზიტის ჩანაწერები: ვიზიტისას ივსება შესაბამისი ფორმა (IRF), რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

7. დაცული სტანდარტები

სამუშაოები სრულდება GWP-ის შიდა სტანდარტების, საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ტექნიკური რეგლამენტების, დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.

8. შედეგი

- სამუშაოები სრულდება ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად.
- თითოეული ეტაპი დასტურდება დოკუმენტურად.
- სამუშაოს მიღება GWP-ს მიერ, ნიშნავს მის შესაბამისობას პროექტთან, კომპანიის შიდა სტანდარტებთან, სამშენებლო წესებსა და ნორმებთან.
- საშემსრულებლო დოკუმენტაციის დაარქივება.

Region	Africa-Asia	Country	Georgia	Approval date
Company	Georgian Water and Power LLC			August 2025 (Version 1)
Procedure	Inspection and Testing Plan (ITP) Procedure and Management in Construction Works to be Carried Out by Developers			

Title	Inspection and Test Plan (ITP) Procedure and Management - Construction Works to be Carried Out by Developers	Code	GWP-E&C-03

Goal

The purpose of the Inspection and Testing Plan (ITP) process management document is to organize the inspection and testing stages according to predefined and transparent rules, ensure the quality of work performed, coordinate the actions of all involved parties, and fully record the results in order to ensure the project's compliance with domestic and international standards.

Changes

Notes	File Location

Phase	Position	Name	Signature
Made by:	Head of Supervision Department	Mikha Gazdeliani	
Revised by:	Deputy Director of Construction and Engineering, Design and Supervision	Beka Narimanidze	
Revised by:	Head of New connection division	Giorgi Kizivadze	
Revised by:	Director of Construction and Engineering	Nañez Sanz Ivan	
Approved by:	General Director	José Miguel Santos Gonzalez	

Procedure

Region	Africa-Asia	Country	Georgia	Approval date
Company	Georgian Water and Power LLC			August 2025 (Version 1)
Procedure	Inspection and Testing Plan (ITP) Procedure and Management in Construction Works to be Carried Out by Developers			

Title	Inspection and Test Plan (ITP) Procedure and Management - Construction Works to be Carried Out by Developers	Code	GWP-E&C-03

Procedure

1. General Information

The purpose of this procedure is to establish the structure, stages, participating parties, their roles and responsibilities of the Inspection and Testing Process (ITP) for construction works carried out by developers. The process is based on the principles of quality management and aims to ensure compliance of the works with the approved projects, technical specifications and applicable construction standards.

The Inspection and Testing Plan (ITP) is a systematic document that determines the necessity, format and sequence of inspections and tests at the stages of construction works. It allows critical works to be carried out transparently, under monitoring conditions and with appropriate documentary confirmation.

2. Documents Involved in the Process

The main documents used in the process include:

- **ITP (Inspection and Test Plan)** – Defines critical work stages, inspection and testing requirements, responsible parties, and methods of verification.
- **IRF (Inspection Request Form)** – A form accompanying the ITP used to request inspection at a specific stage and formally document results. One IRF can cover multiple work items inspected on a single visit.
